გორნოკარლოვაცის ეპისკოპოსი გერასიმე: ჩვენ არ გვაქვს უფლება გავჩუმდეთ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტანჯვაზე

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 17.05.2024. *მხარდაჭერის ღია წერილი გაუგზავნა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალტანჯულ მღვდელთმთავრებსა და ღვთისმოყვარე მორწმუნე ხალხს გორნოკარლოვაცის ეპისკოპოსმა გერასიმემ (სერბეთის საპატრიარქო) გორნოკარლოვაცის ეპარქიის სამღვდელოებასა და სამწყსოსთან ერთად. ეპარქიის საიტზე გამოქვეყნებულ* ***წერილში*** *ნათქვამია:*

ვიხსენებთ რა ქრისტეს მიერ გოლგოთაზე გამოვლენილ სიყვარულს და გზეიმობთ მაცხოვრის სასიხარულო აღდგომას, რომლის მეშვეობითაც სიკვდილი სიცოცხლედ და მარადიულ უკვდავებად იქცა, ჯოჯოხეთი – სამოთხედ, შიში – სიხარულად, საშინელება კი აღტაცებად, ჩვენ არ გვაქვს უფლება გავჩუმდეთ იმ ტანჯვისა და დევნის შემხედვარე, რსააც განიცდის ქრისტეს ეკლესიის ცოცხალი ორგანიზმი უკრაინაში. თუკი ვიფიქრებთ, რომ სახარებისეულად სიკეთეს ვუსურვებთ, მაგრამ მთელი ჩვენი კეთილაზროვნების მიუხედავდ ჩუმად ყოფნას ვამჯობინებთ, მაშინ ხმას აიმაღლებენ ბოროტმოქმედნი, რომლებიც თავიანთი საქმეებით სამართლიანობისა და ჭეშმარიტების მოყვარულთა დევნას ახორციელებენ!

ჩვენი ფიქრები და მუხლმოდრეკილი ლოცვები ამჟამად უფლისადმი მიმართულია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტანჯვასთან დაკავშირებით, რაც მის წინააღმდეგ მიმართული უსულგულო დევნით არის გამოწვეული. ჩვენი წმინდა ეკლესია ყოველდღიურად განიცდის დარტყმას ჭეშმარიტი სარწმუნოების მდევნელთაგან, მათ შორის მათგანაც, ვინც არ ერიდება საკუთარი თავის გაიგივებას ჯოჯოხეთის სიღრმის ბნელ ძალებთან.

უდავოა, რომ დღეს უკრაინაში ვიხვეჭთ მართლმადიდებლური სარწმუნოების ახალ აღმსარებლებს – ესენი არიან ციხეში გამომწყვდეული პატიმრები, ესენი არიან მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტები – ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტი იონათანი, კიევ-პეჩერის ლავრის წინამძღვარი ვიშგოროდელი მიტროპოლიტი პავლე, ზაპოროჟიისა და მელიტოპოლის მიტროპოლიტი ლუკა, ჩერკასისა და კანევის მიტროპოლიტი თეოდოსი, სვიატოგორსკის მიტროპოლიტი არსენი, ბანჩენის მიტროპოლიტი ლონგინოზი, ასევე, მრავალი სხვა მღვდელთმთავარი და სამღვდელოება ერთგულ და ურყევ მრევლთან ერთად. ყველა ეს ჩვენი ძმა უდანაშაულოდ იტანჯება – უპირველეს ყოვლისა, ცრუ ბრალდებებით შეთხზული სასამართლო პროცესებისგან, პატიმრობისგან და ფიზიკური ცემისგან, სალოცავი ადგილების ჩამორთმევისგან და ადამიანის ყველა სხვა ძირითადი უფლების დარღვევისგან.

ძვირფასო ტანჯულო ძმებო! თქვენ ხართ სამართლიანობისა და ჭეშმარიტების მხარეზე, ისევე როგორც ოდესღაც, მე-20 საუკუნის შუა ხანებში საშინელი დევნისა და ტანჯვის დროს იყო წმინდა მღვდელმონამე საბა (ტრლაიჩი), გორნოკარლოვაცელი ეპისკოპოსი, რომელმაც ღვთის შთაგონებით წარმოთქვა დღესაც აქტუალური სიტყვები: „ჭეშმარიტი მშვიდობა ეყრდნობა არა ძალას, არამედ სამართლიანობას. სამართლიანობა მომდინარეობს კეთილი ნებიდან და არა თვითნებობიდან... ღმერთის რწმენის გარეშე არ არსებობს ურთიერთსიყვარული. სიყვარულის გარეშე არ არსებობს კეთილი ნება ადამიანებს შორის ურთიერთობაში. კეთილი ნების გარეშე არ არსებობს სამართლიანობა, ხოლო სამართლიანობის გარეშე ვერ იქნება ნამდვილი და მუდმივი მშვიდობა დედამიწაზე!”.

ყველას მოვუწოდებთ რა სამართლიანობისა და სიყვარულისკენ, ჩვენ შევთხოვთ უფალს, მოაქციოს ქრისტესა და მისი სამწყსოს უგუნური მდევნელები, მიანიჭოს მშვიდობა ჩვენს წმინდა ეკლესიას იმ ადგილებში, სადაც თქვენ ძალდაუზოგვად ემსახურებით ღმერთს, და დააყენოს ქრისტეს ეკლესიის მთელი სისავსე მის გზაზე, ხოლო თქვენ განგამტკიცოთ და მოგცეთ ძალები იმისათვის, რომ უფლისთვის თავდადებით ყოველთვის გაგეძლოთ ოდითგანვე თქვენს მიწებზე რწმენის დაცვისა და შენარჩუნებისთვის ბრძოლაში. რასაც ახლა თქვენ წინააღმდეგ აკეთებენ, ეს არის მართლმადიდებლობის სისტემატური

ნგრევა და უსირცხვილო დევნის წარმოება ქრისტეს წინააღმდეგ – ვისაც თქვენ მოწმობთ, ვისაც აღმსარებლობთ და ვინც გიყვართ მთელი გულით, მთელი სულით და მთელი თქვენი საქმეებით!

ვლოცულობთ, რომ გარდამოვიდეს თქვენზე ძალების სიმტკიცე, რომელსაც ამ დღეებში გვაძლევს აღდგომილი მაცხოვარი, რამეთუ დღეს თქვენ, მართლმადიდებლური სარწმუნოების მცველები, თანაევნებით უფალს და ყოველდღე განიცდით საკუთარი ვნების პარასკევს აღდგომის სასოებით, რომელიც გვანიჭებს სიცოცხლეს, მშვიდობას და თავისუფლებას.

გიხსენებთ რა თქვენ, – ვინც სამართლიანობის სახელით ითმენთ ტანჯვას თქვენი სიტყვის თავისუფლებისა და რწმენის ვაჟკაცური აღიარებისთვის, – გამუდმებით ვიმეორებთ მაცხოვრის სიტყვებს: უკუეთუ მე მდევნეს, თქუენცა გდევნნენ (ინ. 15:20). დარჩით მტკიცენი და ურყევნი, რამეთუ რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს (მთ. 24:13).

ვლოცულობთ რა მუხლმოდრეკილნი იმისთვის, რომ აღდგომილმა უფალმა გარდამოუვლინოს თავისი მადლი და სიყვარული ჩვენს ტანჯულ ქრისტესმიერ ძმებსა და დებს, მოგესალმებით სიხარულისა და ახალი ცხოვრების მისალმებით: ქრისტე აღდგა!

გორნოკარლოვაცის ეპისკოპოსი გერასიმე

სასულიერო პირებთან და ღვთისმოყვარე მორწმუნე ერთან ერთად

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91795/